



*ელეფთერ ანდრონიკაშვილის 100 წლისთავის იუბილე საკმაოდ თბილად აღინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში 2010 წლის 25 დეკემბერს. ეს წერილი იმ დღეების გამოძახილია. 2015-ც საიუბილეოა – ბატონ ელეფთერს 105 წელი შეუსრულდებოდა.*

### იუბილესუმფობოგი ვნებანი

#### ვ. კვაჭაძე

ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
vkvatchadze@gmail.com

მიღებულია 2015 წლის 28 სექტემბერს

მეტად უღიმღამოდ ჩაიარა ელეფთერ ანდრონიკაშვილის საიუბილეო დღეებმა ანდრონიკაშვილისავე ფიზიკის ინსტიტუტში. მიზეზთა მოძიება შეიძლება, რა თქმა უნდა, ოღონდ ნუ მოვიძიებთ.

სულიერებას თითქოს რა უნდა, მაგრამ რომ ვერაფერი მოვიფიქრეთ სასულიერო, არც შედარებით ახალგაზრდებმა და არც ჩვენ, ვისაც ანდრონიკაშვილის შთამომავლებად მოგვაქვს თავი ჩვენი საქმიანობითა.

ისიც როგორ დაამთხვია აზრთაგამრიგემ და სწორედ იმ საიუბილეო შემოდგომას შეუერთა ანდრონიკაშვილის ნალოლიავები ინსტიტუტი დედა უნივერსიტეტსა. დედასა, რამეთუ ყველანი იქიდან მოვდივართ და ანდრონიკაშვილმაც იქიდან დაიწყო ქართული საქმის ქმნა. თავის დროზე ხომ ამ უნივერსიტეტში უხმო იმ სულკურთხეულმა რექტორმა იმედისმომცემ ახალგაზრდა მკვლევარს.

შეერთებაში რა უნდა იყოს ცუდი და მიუღებელი? ერთია, შეიძლება ძველებს გაგვიჭირდეს ახალთან შეგუება, თორემ ახალგაზრდებისთვის ბუნებრივად მოხდება ყოველივე. უბრალოდ, ფაქტი აღვნიშნე დამთხვევისა და ეჭვი არ შემიტანია მომავლის წარმატებაში.

ისიც როგორ დაემთხვა – პატივცემულ რექტორს ახლად შეერთებული ინსტიტუტების დირექტორების თათბირი მოეწვია სწორედ იმ დღესა, როცა აკადემია საიუბილეო სხდომას უძღვნიდა ანდრონიკაშვილსა. ნეტა თუ აცნობეს და მიიპატიყეს ახალგაზრდა რექტორი ამ იუბილეზე? მოსულიყო და ხომ დიდებული იქნებოდა ყოველმხრივ; არ მოვიდოდა და ამასაც გადაუდებელი საქმეებით ავხსნიდით და დაველოდებოდით ახალ იუბილეებსა.

ანდრონიკაშვილს არაფერი დაჰკლებია ჩვენი უნიათობითა. ჩვენ ვკარგავთ რაღაცეებსა ...

რკინას ცეცხლი აწრობს, ადამიანს – განსაცდელით. ანდრონიკაშვილსაც შეხვდა სამყოფი განსაცდელი და არ წაქცეულა. არ წაქცეულა, რაკი ოჟიოში ჰქონდა ფესვები გამდგარი. წარმატებულიც იმიტომ იყო, ალბათ.

იმპერიის აკადემიამ არ აირჩია ის თავის წევრად ... ისე, ამ საქმეში აქეთურებიც მივეხმარეთ იმპერიასა. მეცნიერების მწვერვალს თითქმის უკვე მიღწეულ ახალგაზრდა სწავლულს აქეთ ვუხმეთ და გამოვიძახეთ ქართული ექსპერიმენტული ფიზიკის შესაქმნელად. შეიძლება იფიქრეს კიდევ, რაკი დატოვა იმპერიის უპირველესი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების პალატები, ამით დიდი მეცნიერებიდანაც წავიდაო. ანდრონიკაშვილი მომავალში დაამტკიცებს, რომ არც ერთი წამით არ დაუტოვებია დიდი მეცნიერება.

“წამოსვლა” კი ნამდვილად მძიმე და მტკივნეული იყო ანდრონიკაშვილისთვის, მაგრამ, როცა დამშვიდდა და მიხვდა, რომ სამშობლოს ალტერნატივა არ გააჩნია, დაბრუნდა კიდევ მამაპაპეულ ქვეყანაში. ის უკვე ავტორია ბრწყინვალე ექსპერიმენტისა, რომლითაც გამჟღავნდა ერთდროულად მოძრავი და უძრავი მატერიის არსებობა. მარტოოდენ “ანდრონიკაშვილის ექსპერიმენტიც” საკმარისია, რომ მისი ავტორი მუდმივად დარჩენილიყო დიდ მეცნიერებაში. სულ ახლახან არ იყო, გასულმა საუკუნემ რომ გადაულოცა იგი (“ანდრონიკაშვილის ექსპერიმენტი”) XXI საუკუნეს, როგორც მუდმივად მნათი კელაპტარი (The New PHYSICS for the Twenty-First Century. Ed. G. Fraser, Cambridge, 2009).

ანდრონიკაშვილმა მართლაც და სასწაული მოახდინა. ხომ შექმნა ბრწყინვალე ინსტიტუტი მთელი თავისი მაღალმთიანი (იალბუზი, ცხრა-წყარო) თუ დაბალმთიანი (მუხათგვერდი, ბოტანიკური ბაღის მიდამოები) ბაზებითა; ინსტიტუტი, რომელიც რუსეთის დედაქალაქებისა (მოსკოვი, ლენინგრადი) და უკრაინის დედაქალაქების (კიევი, ხარკოვი) წამყვან ინსტიტუტებს შორის მოიაზრებოდა. დიდი მეცნიერების ღირსი აღმოჩენებიც აქ გააკეთა. გააკეთა ადგილობრივ ახალგაზრდა მეცნიერებთან ერთად, ანუ ძალიან მოკლე ხანში ქართული ექსპერიმენტული ფიზიკა შესდგა(!). ამ გოგო-ბიჭებთან ერთად (ვახსენოთ ასე მოფერებითა ის ყმაწვილები) შექმნა ანდრონიკაშვილმა ის კრიტერიუმი, რომლითაც განირჩევა ცოცხალი და მკვდარი მატერია. ვერაფერს იტყვი, იმპერიის გამოცემაც აღიარებს ამ ფაქტს: «Инициировал новое направление биотермодинамики. Под его руководством были созданы уникальные сканирующие дифференциальные микрокалориметры адиабатического типа, с помощью которых впервые измерена теплота внутримолекулярного плавления ДНК, РНК, фибриллярных и глобулярных белков в норме и патологии» (Большая биографическая энциклопедия, 2009).

ახლა უკვე მოწაფეების სხვა ჯგუფზე გადავინაცვლოთ. აკი წერს იგივე გამოცემა, რომ «... работы (Андроникашвили – ვ.კ.) посвящены физике низких температур, физике космических лучей, радиационной физике твердого тела, биофизике». და აი, მყარი სხეულების რადიაციულ ფიზიკაში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერებთან ერთად ანდრონიკაშვილი ავტორია პლასტიფიკაციის ეფექტისა, კრისტალებზე რადიაციისა და გარე ველის ერთდროული მოქმედების შედეგისა (თვით იმპერია აპირებდა ამ შედეგის აღმოჩენად აღიარებას, მაგრამ არ დასცალდა ბეჩავს). ყველა იმ დიდებულ მეცნიერთათვის (ნობელიანტისთვისა თუ არანობელიანტისთვისა), ვინც კი სწვევია ინსტიტუტს, ეს შედეგი იყო მასპინძლების ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი. ამის შემდეგ იყო პროხოროვმა რომ სთხოვა ანდრონიკაშვილს: კეთილო ხალხო, ჩვენთან ოპტიკური ელემენტები ვერ უძლებენ ლაზერული სხივის მოქმედებას და იქნებ იღონოთ რამეო?!

ილონეს, რა თქმა უნდა, 2.5-ჯერ გაიზარდა შესაბამისი მასალის სიმტკიცე. ამიტომაც იყო, რომ მეორედაც აქეთ მოაპყრეს მზერა იოფანელებმა (ИОФ АН), მაშინ, როცა ერთი, ჩვეულებრივად არასტაბილური, მაგრამ მეტად ღირებული ლაზერული ცენტრი “მოერჯულებინათ” ქართველებსა და ორიგინალური გზით მიეღწიათ მისი მდგრადობისთვის რადიაციულ კრისტალშია, მაგრამ დრომ შეუშალა ხელი ამ თანამშრომლობასა.

იმპერიის აკადემია კი ფიქრობდა ალბათ: ამას რად უნდა ჩვენი აკადემია, ისედაც მაგარიანო, თორემ მოსწონდა, თქმა არ უნდა, ანდრონიკაშვილისა და მისი თანაგუნდელების საქმიანობა; თავსაც იწონებდა ამით.

იმპერიასაც ნუ დავუკარგავთ ყველაფერს – ზედმეტი მომჭირნეობით (აკი, ყველაფერი ნორმირებული იყო იმ ქვეყანაში და ნიჭის ნიველირებასაც ცდილობდნენ!), მაგრამ მაინც იმეტებდა ჯილდოებსა, ანუ აღიარებდა შენს საქმეს: ერთხელ სტალინის პრემიით დააჯილდოვა ანდრონიკაშვილი (1952 წ.); მეორედ, სტალინი რომ აღარ იყო – სახელმწიფო პრემიითა (1978 წ.). აქვე დავუმატოთ სახელმწიფო პრემია (1977 წ.) და იმპერიის უმაღლესი ჯილდო – ლენინის პრემია (1970 წ.), მიღებული ანდრონიკაშვილის თანამშრომლებისა და მოწაფეების მიერ მისივე ძალისხმევით. და ეს ყველაფერი 30 წლიანი დაუღალავი შრომის შედეგად (აქ მხოლოდ იმპერიისა და “პერიფერიული” ინსტიტუტის დამოკიდებულებაზე ვამახვილებთ ყურადღებას, თორემ სანიმუშო შედეგები სხვაც იყო და დაელჯილდოვებინა კიდევ საქართველოს მთავრობას მათი ავტორებიცა. მათ შორის ისინიც, ახალ თაობას რომ ქმნიდნენ ინსტიტუტში და თავის ნიჭიერებით უკვე მოესწროთ მაღალი დონის შედეგების მიღება).

ანდა დროს როგორ გაუსწრო ანდრონიკაშვილმა დაბალტემპერატურული რადიაციული მასალათმცოდნეობის დაფუძნებით – მყარი სხეულების კვლევისთვის კოსმოსური გარემო რომ შეექმნა რეაქტორის არხშია. უფრო სწორედ, დროს კი არ გაუსწრო, არამედ დროზე შექმნა (გავიხსენოთ ის წლები – ადამიანი უკვე სტარტზეა კოსმოსში გასაფრენად!). ეს სხვები ჩამორჩნენ დროსა, მარცხითა, თუ სხვა მიზეზითა. იქნებ ისევ იმ გამოცემაში ჩაგვხვდება: «В 1961 создал первую в нашей стране низкотемпературную петлю оригинальной конструкции, что дает возможность облучать в ядерном реакторе различные вещества при температурах, близких к абсолютному нулю». ინსტიტუტი კი, ეს მართლაც უნიკალური მოვლენა ქართულ სინამდვილეში, ყოველივე ამის განხორციელებისთვის შრომის ორდენით იქნა დაჯილდოებული (1969 წ.).

აკადემიის მესვეურები ყველაფერს ხედავდნენ, რა თქმა უნდა, და თავს იწონებდნენ-მეთქი, აღვნიშნე. შეიქმნა კიდევ მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის საპრობლემო საბჭო იმპერიულ მეცნიერებათა აკადემიაში და ანდრონიკაშვილსა და მის მოწაფეებს ჩააბარეს მისი ხელმძღვანელობაც (თავმჯდომარე, მოადგილე, სწავლული მდივანი). ხოლო უკვე ორდენით პატივცემული ინსტიტუტი, ამ საბჭოს საბაზისო ინსტიტუტად დასახელდა და, ამგვარად, იმპერიის 150 ინსტიტუტს უნდა ჩასდგომოდა თავშია. ცოტაც და ორი ათეული წელი წინამძღოლობდნენ ქართველები მეცნიერების ამ დარგსა იმპერიული მასშტაბებითა – იმდენი, რამდენიც იარსება ამ მეტად პრესტიჟულმა საბჭომ. შემდგომ იმპერიაც ჩამოინგრა და ყველა დაადგა თავ-თავიანთ გზასა.

ისე, კატერინას შექმნილ აკადემიას რას გადავეკიდე, როცა ჩვენ ვერ ვუვლით ამ განძსა ამ გაღატაკებულ ყოფაში და ხელში გვადნება ინსტიტუტი ყინულის

ლოლუასავითა. მის კედლებს შემორჩენილნი თანდათან ვერებით მარადისობის კანონითა და ისიც გაქრება, თუ არ ვიღონეთ რაიმე საგანგებოდ ... .

დგება ჟამი, როცა დრო ჩაერევა ხოლმე ამა თუ იმ მოვლენისა თუ პიროვნების შეფასებაში. ხშირად – ააყირავენს კიდეც წარსულის დალაგებულსა. უფროვე მაშინ, როცა მარადისობა ვერ გუობს დადგენილ წესრიგსა. ანდრონიკაშვილს თუ შედარებით მოკრძალებული ადგილი მიუჩინეს ადრე მეცნიერების ქურუმებმა, ახლა მისი ფასი იზრდება გამეტებითა; იზრდება ისევ იმ კამკამა ექსპერიმენტითა (The New PHYSICS for the Twenty-First Century. Ed. G. Fraser, Cambridge, 2009). საუკუნიდან საუკუნეში, რომ გადასულა და მომავალშიც გადავა წარმატებითა.

ასე იცის დრომა!

და ბოლოს:

“We were deeply impressed by the vigorous and purposeful research work organized by you and your colleagues and the spirited educational activities at the University of Tbilisi, and we hope in both these fields for a close co-operation between the scientists in our two countries comparable in size and which have so much in common in aspirations and traditions.” – წერდა ქართული შთაბეჭდილებებით აღსავსე (1961 წ.) ღმერთკაცი (ნილს ბორი) ელეფთერ ანდრონიკაშვილს ... .

ჩვენც აქ შევჩერდეთ!

ამ დალოცვილ მიწაზე დაბადებული რამ გაგაოცოს?!

არც არაფერმა! რაცა ვთქვი, იმიტომ ვთქვი, რომ უნდა მეთქვა.

P.S. მეფე მოკვდა! გაუმარჯოს მეფეს!

ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი მოკვდა!

გაუმარჯოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის (სახელობის!) ფიზიკის ინსტიტუტს!

ნეტაი, ახალმა აჯობოს ძველსა!

აჯობებს და ძველების ღვაწლიც გაბრწყინდება ახალ ეპოქაშია.

2015 წ.

მინაწერი:

ამ წერილის საბოლოო ვარიანტზე მუშაობისას ავტორმა დიდი დახმარება მიიღო, რჩევითა თუ მოწოდებული მასალით, ქალბატონ ლია ზამთარაძისგან, რომელიც წარმოადგენს ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ღირსეულ მემკვიდრეს.

ავტორისთვის გარკვეული სტიმულის მომცემი იყო პროფ. ჯ. ჩქარეულის სიტყვა, თქმული ელეფთერ ანდრონიკაშვილის იუბილეზე (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 2010 წლის 25 დეკემბერი) და ამჟამანდელი მხარდაჭერა.

ულრმესი მადლობა მათ.